იტალიური მაგიური რეალიზმი და მისი ევროპული მახასიათებლები მასიმო ბონტემპელისა და დინო ბუცატის შემოქმედებაში

გიორგი გახარია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიეტა ჩიხლაძე, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი გახარია 2023 წლის 17 იანვარი

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი სალიტერატურო მიმდინარეობის მაგიური რეალიზმისა და მისი ევროპული ხაზის კვლევას იტალიელი მწერლების მასიმო ბონტემპელისა და დინო ბუცატის შემოქმედების (ესეისტიკა, მხატვრული ტექსტები, მხატვრობა) მაგალითზე.

ჩვენი მიზანია, მაგიური რეალიზმის მიმდინარეობის შესწავლის საფუძველზე, წარმოვაჩინოთ თუ საკუთრივ რა ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩევა ევროპული მაგიური რეალიზმი მისი ლიტერატურული 'დამფუძნებლის' მასიმო ბონტემპელისა და ბონტემპელის თანამედროვე, საყოველთაოდ აღიარებული იტალიელი მწერლის, დინო ბუცატის შემოქმედებების განხილვის მაგალითზე.

ნაშრომში, მეტი სიცხადისთვის, ასევე განხილულია ტერმინი *მაგიური რეალიზმი* და მისი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობა – სამხატვრო სფეროდან ლიტერატურულ სივრცეში მისი ტრანსფორმაცია და კავშირი იმდროინდელ ისტორიულ, სოციალურ თუ გეოპოლიტიკურ გარემოებებთან. ასევე, განხილულია აღნიშნული მიმდინარეობის კვეთა სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებთან, როგორებიცაა სიურეალიზმი და ეგზისტენციალიზმი, ისევე როგორც გამიჯნულია მსგავსებები და განსხვავებები ევროპულ და ლათინოამერიკულ მაგიურ რეალიზმს შორის.

მასიმო ბონტემპელის, – რომელსაც საქართველოში ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს, – როგორც სალიტერატურო მაგიური რელიზმის ფუძემდებლის თეორიების გამოკვლევით, ჩვენ წარმოდგენა გვექმნება მიმდინარეობის კონცეფციაზე. მეორეს მხრივ, დინო ბუცატის, როგორც მაგიური ელემენტებით გაჯერებული მოთხრობების დიდოსტატის შემოქმედების განხილვით, აღნიშნული თეორიების ლიტერატურაში რეალიზაციის მოწმენი ვხდებით. შესაბამისად, დინო ბუცატისა და მასიმო ბონტემპელის ტექსტების, განსაკუთრებით კი მათი მოთხრობების ანალიზი, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და გავიაზროთ მახასიათებლები და რიგი ასპექტები ევროპული, კერძოდ კი იტალიური მაგიური რეალიზმისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მაგიური რეალიზმი იტალიაში, მასიმო ბონტემპელი, დინო ბუცატი.

Abstract

The thesis represents a study of Magical Realism, one of the main literary genres of the 20th century and its European characteristics based on the works (essays, fiction, painting) of Italian writers Massimo Bontempelli and Dino Buzzatti.

This study aims to showcase the central and distinctive characteristics of European Magical Realism by exploring the movement and using two literary figures - Massimo Bontempelli, considered the genre's literary 'founder' and Dino Buzzati, a well-known Italian writer, as examples.

For further clarity, the thesis also defines the use of the term Magical Realism, its origins, and creation - the transformation of the art movement into the literary field and its relation to contemporary historical, social and geopolitical contexts. Additionally, it explores the connection between magical realism and other literary movements such as Surrealism and Existentialism and highlights the similarities and differences between European and Latin American magical realism.

By analyzing the literary theories of Magical Realism developed by Massimo Bontempelli, a lesser-known figure in Georgia, we gain insight into the fundamental elements of the genre. In contrast, by examining the works of Dino Buzzati, a master of crafting short stories rich in magical elements, we can observe how these theories are brought to life in literature. Through the analysis of texts, particularly the short stories, of both Dino Buzzati and Massimo Bontempeli, we can gain a deeper understanding of the characteristics and nuances of European, particularly Italian, magical realism.

Keywords: Magical Realism in Italy, Massimo Bontempelli, Dino Buzzati.